



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
**GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE**  
**BODY**



მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ო კ მ ი N21

ქ. მარნეული

03.12.2021 წელი

სხდომას ესწრებოდნენ: მარნეულის 22-ე საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე – ანა ილურიძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერი კენან ომაროვი

საკრებულოს წევრები: - ვასილ ხახულაშვილი, ტარიელ მამედოვი, ანარ პირიევი, როვშან ისკანდაროვი, ადილ გურბანოვი, ჯეიხუნ ჩოიდაროვი, მახარატ ალახვერდიევი, ომარ ირიშოვი, მახირ ბაირამოვი, არსენ ახვერდიანი, ამირან გიორგაძე, ადილ ალიევი, თეონა ფარჯიანი, ბესიკ გელენიძე, გივი გიორგაძე, ნაზილა მუსტაფაევა, რიჩარდ გიგანი, ლევონ აკოპიანი, გიუნაშ რიზაგულიევა, ვანო ბურნაძე, აიაზ ხუდიევი, რახმან მუსაევი, სოსო ინაძე, მაია გელაშვილი, ზურაბ ჭონიაშვილი, რამალ ახმედოვი, ლაშა ქველაძე, ნარგიზ ალიევა, მეხტი ასკეროვი, დავით ქიმაძე, მარინა პეტროვა.

არ ესწრებოდა: ნიკოლოზ გოგოჭყური, თამარ აბასოვა.

სხდომას ესწრებოდა - მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **როინი დეკანოიძე**, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **ვუგარ მამედოვი**, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი **ნინო დეკანოიძე**, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი **თემური შუბითიძე**, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი **დავით ხარშილაძე**. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი **ნინო ბერიძე**, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი **რუსუდან გადელია**, ამავე განყოფილების სპეციალისტები: **ნათია გაფრინდაშვილი**, **ნატო დოკვაძე**, **ბელა თედორაძე**, **ხათუნა სამხარაძე**, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის

მატერიალურ - ტექნიკური და კომპიუტერული უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი კოტე ბოჭოიძე, ამავე განყოფილების სპეციალისტი ქეთევან ხვედელიძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საზოგადოებასთან, მედიასთან, არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობის და გენდერული საკითხების განყოფილების უფროსი ია ესებუა, ამავე განყოფილების სპეციალისტები: მარიამ კაპანაძე, ხოშგადაძე ნოვრუზალოვა, მარინე ბახტურიძე, თამუნა ჩაჩანიძე, აპარატის სპეციალისტები ხელშეკრულებით: მარიამ ირიაული, გაბილ ხალილოვი, თამთა ქალდანი, აგილ ამირჯანოვი, ისმაილ ბაირამოვი, მირზა დარგალი, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველი ომარ ლუხუტაშვილი. დამსწრეთა სია თან ერთვის.

ასევე ესწრებოდნენ: რადიო მარნეულის და მარნეული TV-ს წარმომადგენლები.

#### განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021-2025 წლების მოწვევის საკრებულოს და მისი წევრების უფლებამოსილების ცნობა.
2. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის არჩევა.
3. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეების არჩევა.
4. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ფრაქციების დაფუძნების შესახებ.
5. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ.
6. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში პროპორციული წარმომადგენლობითი კვოტების განსაზღვრის შესახებ.
7. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობის და კომისიის თავმჯდომარეების არჩევის შესახებ.

#### განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:

2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად არჩეული მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი სხდომა გაიხსნა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნით.

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის N22 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ანა ილურიძემ გააკეთა მოხსენება მარნეულის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების შესახებ, რომლის მიხედვით მარნეულის მუნიციპალიტეტის მერად არჩეულია კენან ომაროვი და მისი უფლებამოსილების ცნობა იწყება 2021 წლის 27 ნოემბრიდან. ასევე ანა ილურიძემ წარმოადგინა დოკუმენტაცია მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ახალი შემადგენლობის შესახებ, რომლის მიხედვით მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2021 წლის არჩევნების შედეგად არჩეულია 33 წევრობის კანდიდატი, მათ შორის: მაჟორიტარული სისტემით 11 კანდიდატი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება“-დან, ხოლო პროპორციული სიით ასარჩევი 22 კანდიდატიდან 16 არის მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება“-დან და 6 – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-დან. ანა ილურიძემ საკრებულოს ახალი შემადგენლობის უხუცეს წევრს გივი გიორგაძეს გადასცა წარმოდგენილი დოკუმენტაცია და სთხოვა, კანონმდებლობის შესაბამისად, გაძლოდა პირველ სხდომას.

სხდომის უხუცესმა გივი გიორგაძემ საკრებულოს წინაშე დააყენა დროებითი სამანდატო და საპროცედურო და ხმის დამთვლელი დროებითი კომისიების არჩევის საკითხი. სამანდატო და საპროცედურო დროებითი კომისიის წევრებად დასახელდნენ ზურაბ ჭონიაშვილი, თეონა ფარჯიანი და ომარ ირიშოვი (ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ უარი განაცხადა კანდიდატურის წამოყენებაზე), ხოლო ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის წევრებად დასახელდნენ სოსო ინაძე, ბესიკ გელენიძე და რახმან მუსაევი. (ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ უარი განაცხადა კანდიდატურის წამოყენებაზე) სხდომის თავმჯდომარემ ღია კენჭისყრაზე დააყენა დასახელებული კანდიდატურები, რის შემდეგაც, ღია კენჭისყრის შედეგად დროებითი სამანდატო კომისიის წევრებად არჩეული იქნენ ზურაბ ჭონიაშვილი, თეონა ფარჯიანი და ომარ ირიშოვი, ხოლო ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის წევრებად – სოსო ინაძე, ბესიკ გელენიძე და რახმან მუსაევი. საკრებულოს დროებითი სამანდატო კომისიის არჩევის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კომისიას გადასცა მარნეულის 22-ე საოლქო-საარჩევნო კომისიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის შესახებ, საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობისათვის, რის შემდეგაც გამოცხადდა შესვენება. შესვენების შემდეგ დროებითმა სამანდატო კომისიამ საკრებულოს წარუდგინა დასკვნა საკრებულოს და მისი ახალი შემადგენლობის უფლებამოსილების ცნობის შესახებ. სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მისი ახალი შემადგენლობის უფლებამოსილების ცნობის საკითხი. (სამანდატო დროებითი კომისიის დასკვნა, დანართი N1 თან ერთვის).

ღია კენჭისყრის შედეგად, ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით, ცნობილი იქნა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მისი ახალი შემადგენლობის უფლებამოსილება, რის შემდეგაც შეუწყდა უფლებამოსილება მარნეულის მუნიციპალიტეტის 2017 წლის მოწვევის საკრებულოსა და მის წევრებს. (მიღებულია განკარგულება N66. 03.12.2021 წ.)

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, საკრებულოს წევრებმა: ბესიკ გელენიძემ, ვასილ ხახულაშვილმა, ტარიელ მამედოვი, ანარ პირიევმა, როვმან ისკანდაროვმა, ადილ გურბანოვმა, ჯეიხუნ ჩოიდაროვმა, მახარატ ალახვერდიევმა, ომარ ირიშოვმა, მახირ ბაირამოვმა, არსენ ახვერდიანმა, ადილ ალიევმა, თეონა ფარჯიანმა, გივი გიორგაძემ, ნაზილა მუსტაფაევმა, რიჩარდ გიგანმა, ლევონ აკოპიანმა, გიუნაშ რიზაგულიევამ, ვანო ბურნაძემ, აიაზ ხუდიევმა, რახმან მუსაევმა, სოსო ინაძემ, მაია გელაშვილმა, ზურაბ ჭონიაშვილმა საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე დაასახელეს საკრებულოს წევრი ამირან გიორგაძე, რაზეც კანდიდატმა განაცხადა თანახმობა. სხდომის თავმჯდომარემ, ფარული კენჭისყრის ჩასატარებელი სამუშაოებისათვის გამოაცხადა შესვენება. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების ხელახალი რეგისტრაციის შემდეგ ჩატარდა ფარული კენჭისყრა. კენჭისყრის დამთავრების შემდეგ, ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის თავმჯდომარემ, კომისიის წევრების თანდასწრებით გახსნა კენჭისყრისთვის გათვალისწინებული სპეციალური ყუთი. დათვლილი იქნა ხმები, რაზეც შედგა შესაბამისი ოქმი. ხმის დამთვლელმა დროებითმა კომისიამ საკრებულოს წევრებს გააცნო ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის ოქმი საკრებულოს თავმჯდომარის არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც საკრებულომ ფარული კენჭისყრით, 25 ხმით, საკრებულოს თავმჯდომარედ აირჩია ამირან გიორგაძე. (მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის 2021 წლის 03 დეკემბრის სხდომის N1 ოქმი და ფარული კენჭისყრის შედეგები თან ერთვის. მიღებულია განკარგულება N67. 03.12.2021 წ.)

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობაზე წარადგინა საკრებულოს წევრი ტარიელ მამედოვი, საკრებულოს თავმჯდომარემ, ფარული კენჭისყრის ჩასატარებელი სამუშაოებისათვის გამოაცხადა შესვენება. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების ხელახალი რეგისტრაციის შემდეგ ჩატარდა ფარული კენჭისყრა. კენჭისყრის დამთავრების შემდეგ, ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის თავმჯდომარემ, კომისიის წევრების თანდასწრებით გახსნა კენჭისყრისთვის გათვალისწინებული სპეციალური ყუთი. დათვლილი იქნა ხმები, რაზეც შედგა შესაბამისი ოქმი. ხმის დამთვლელმა დროებითმა კომისიამ საკრებულოს წევრებს გააცნო ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის ოქმი საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც საკრებულომ ფარული კენჭისყრით, 23 ხმით საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ აირჩია ტარიელ მამედოვი. (მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის 2021 წლის 03 დეკემბრის სხდომის N2 ოქმი და ფარული კენჭისყრის შედეგები თან ერთვის. მიღებულია განკარგულება N68. 03.12.2021 წ.)

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე წარადგინა საკრებულოს წევრი რიჩარდ გიგანი, საკრებულოს თავმჯდომარემ, ფარული კენჭისყრის ჩასატარებელი სამუშაოებისათვის გამოაცხადა შესვენება. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების ხელახალი რეგისტრაციის შემდეგ ჩატარდა ფარული კენჭისყრა. კენჭისყრის დამთავრების შემდეგ, ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის თავმჯდომარემ, კომისიის

წევრების თანდასწრებით გახსნა კენჭისყრისთვის გათვალისწინებული სპეციალური ყუთი. დათვლილი იქნა ხმები, რაზეც შედგა შესაბამისი ოქმი. ხმის დამთვლელმა დროებითმა კომისიამ საკრებულოს წევრებს გააცნო ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის ოქმი საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც საკრებულომ ფარული კენჭისყრით, 25 ხმით საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ აირჩია რიჩარდ გიგანი. (მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის 2021 წლის 03 დეკემბრის სხდომის N3 ოქმი და ფარული კენჭისყრის შედეგები თან ერთვის. მიღებულია განკარგულება N69. 03.12.2021 წ.)

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე წარადგინა საკრებულოს წევრი როვშან ისკანდაროვი, საკრებულოს თავმჯდომარემ, ფარული კენჭისყრის ჩასატარებელი სამუშაოებისათვის გამოაცხადა შესვენება. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების ხელახალი რეგისტრაციის შემდეგ ჩატარდა ფარული კენჭისყრა. კენჭისყრის დამთავრების შემდეგ, ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის თავმჯდომარემ, კომისიის წევრების თანდასწრებით გახსნა კენჭისყრისთვის გათვალისწინებული სპეციალური ყუთი. დათვლილი იქნა ხმები, რაზეც შედგა შესაბამისი ოქმი. ხმის დამთვლელმა დროებითმა კომისიამ საკრებულოს წევრებს გააცნო ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის ოქმი საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც საკრებულომ ფარული კენჭისყრით, 25 ხმით საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ აირჩია როვშან ისკანდაროვი (მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის 2021 წლის 03 დეკემბრის სხდომის N4 ოქმი და ფარული კენჭისყრის შედეგები თან ერთვის. მიღებულია განკარგულება N70. 03.12.2021 წ.)

4. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ამირან გიორგაძემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს მიმართა წინადადებით გამოცხადდეს შესვენება, რა დროსაც საინიციატივო ჯგუფები მიწოდებენ დროებით სამანდატო კომისიას დოკუმენტაციას ფრაქციების დაფუძნების შესახებ. მანვე განმარტა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში შეტანილი ცვლილების მიხედვით, ერთი პოლიტიკური პარტიის წარდგენით არჩეულ მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს უფლება არა აქვთ შექმნან ერთზე მეტი ფრაქცია. შესვენების შემდეგ დროებითმა სამანდატო კომისიამ საკრებულოს წევრებს გააცნო დასკვნა, რომელის მიხედვით მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დარეგისტრირდა შემდეგი ფრაქციები: 1. ფრაქცია „ქართული ოცნება“, სადაც გაწევრიანდა საკრებულოს 27 წევრი. ფრაქციის თავმჯდომარედ არჩეულია ბესიკ გელენიძე. მოადგილეებად: ომარ ირიშოვი, მაია გელაშვილი, ვანო ბურნაძე, ადილ გურბანოვი, ჯეიხუნ ჩიდაროვი, არსენ ახვერდიანი, ლევონ აკოპიანი. 2. ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ სადაც გაერთიანდა საკრებულოს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ 6 წევრიდან 5 წევრი. ფრაქციის თავმჯდომარედ არჩეულია ლაშა ქველაძე, მოადგილედ რამალ ახმედოვი. რაც საკრებულოს წევრების მიერ მიღებული იქნა ცნობად. (მიღებულია განკარგულებები: N71 და N72. 03.12.2021 წ.) თან ერთვის დროებითი სამანდატო კომისიის დასკვნა (დანართი N6).

5. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N42. 03.12.2021 წ).

6. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დროებითმა სამანდატო კომისიამ წარმოადგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში პროპორციული წარმომადგენლობითი კვოტები, რომლის მიხედვით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საქართველოს ორგანული კანონის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში ფრაქციათა წარმომადგენლობითი კვოტები განისაზღვროს შემდეგი სახით: 1. საკრებულოს კომისიები განისაზღვროს 7 კაცის შემადგენლობით; 2. 4 კომისიაში კვოტები გადანაწილდეს 6 წევრი - ფრაქცია „ქართული ოცნება“, 1 წევრი - ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა“; 3. 1 კომისიაში კვოტები გადანაწილდეს 5 წევრი ფრაქცია „ქართული ოცნება“, 2 წევრი ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა“. რაც საკრებულოს წევრების მიერ მიღებული იქნა ცნობად.

7. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს განუმარტა, რომ დამტკიცებული რეგლამენტის მიხედვით მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შექმნილია 5 კომისია. ესენია 1. საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისია; 2. სოციალურ საკითხთა კომისია; 3. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია; 4. სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია; 5. ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისია. კომისიის თავმჯდომარეების დასახელება ხდება კომისიის შემადგენლობიდან, ფარული კენჭისყრით, რისთვისაც საჭიროა გამოცხადდეს შესვენება ნახევარი საათით, რათა მოხდეს ფრაქციების მიერ კომისიებში წარმომადგენლობების განსაზღვრა და კომისიის თავმჯდომარეების კანდიდატურების წარმოდგენა. შესვენების შემდეგ ფრაქცია „ქართული ოცნება“-ს თავმჯდომარემ ბესიკ გელენიძემ დაასახელა კომისიების შემადგენლობები და კომისიების თავმჯდომარეობის კანდიდატურები: 1. საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ - თეონა ფარჯიანი - „ქართული ოცნება“. წევრები: ბესიკ გელენიძე - „ქართული ოცნება“, ლევონ აკოპიანი - „ქართული ოცნება“, ანარ პირიევი - „ქართული ოცნება“, მახარატ ალახვერდიევი - „ქართული ოცნება“, გიუნაშ რიზაგულიევა - „ქართული ოცნება“, ნარგიზა ალიევა - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“. 2. სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ - ზურაბ ჭონიაშვილი - „ქართული ოცნება“. წევრები: არსენ ახვერდიანი - „ქართული ოცნება“, ადილ ალიევი - „ქართული ოცნება“, ვანო ბურნაძე - „ქართული ოცნება“, რახმან მუსაევი - „ქართული ოცნება“, რამალ ახმედოვი - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, მარინა პეტროვა - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“. 3. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარედ - ადილ ალიევი - „ქართული ოცნება“. წევრები: მაია გელაშვილი - „ქართული ოცნება“, გივი გიორგაძე - „ქართული ოცნება“, აიაზ

ხუდიევი - „ქართული ოცნება“, თამარ აბასოვა - „ქართული ოცნება“, ნაზილა მუსტაფაევა - „ქართული ოცნება“, მეხტი ასკეროვი - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“. 4. სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარედ - ვასილ ხახულაშვილი - „ქართული ოცნება“. წევრები: ომარ ირიშოვი - „ქართული ოცნება“, ლევონ აკოპიანი - „ქართული ოცნება“, ნიკოლოზ გოგოჭური - „ქართული ოცნება“, თეონა ფარჯიანი - „ქართული ოცნება“, თამარ აბასოვა - „ქართული ოცნება“, დავით ქიმაძე - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“. 5. ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარედ - გივი გიორგაძე - „ქართული ოცნება“. წევრები: ჯეიხუნ ჩოიდაროვი - „ქართული ოცნება“, არსენ ახვერდიანი - „ქართული ოცნება“, მახირ ბაირამოვი - „ქართული ოცნება“ სოსო ინაძე - „ქართული ოცნება“, ადილ გურბანოვი - „ქართული ოცნება“ ლაშა ქველაძე - „ნაციონალური მოძრაობა“.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა კომისიის შემადგენლობები, რაც მიღებული იქნა ერთხმად, ხოლო კომისიის თავმჯდომარეების ფარული კენჭისყრისთვის გამოცხადდა შესვენება.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების ხელახალი რეგისტრაციის შემდეგ ჩატარდა ფარული კენჭისყრა. კენჭისყრის დამთავრების შემდეგ, ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის თავმჯდომარემ, კომისიის წევრების თანდასწრებით გახსნა კენჭისყრისთვის გათვალისწინებული სპეციალური ყუთი. დათვლილი იქნა ხმები, რაზეც შედგა შესაბამისი ოქმი. დროებითმა ხმის დამთვლელმა კომისიამ საკრებულოს წევრებს გააცნო ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის ოქმი საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომარეების არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც საკრებულომ ფარული კენჭისყრით, 25 ხმით მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო – საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ აირჩია თეონა ფარჯიანი. 25 ხმით მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარედ აირჩია ვასილ ხახულაშვილი. 25 ხმით მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ აირჩია ზურაბ ჭონიაშვილი. 24 ხმით მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარედ აირჩია ადილ ალიევი. 25 ხმით მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარედ აირჩია გივი გიორგაძე. (მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის 2021 წლის 03 დეკემბრის სხდომის N5 ოქმი და ფარული კენჭისყრის შედეგები თან ერთვის. მიღებულია განკარგულებები: N73, N74, N75, N76, N77. 03.12.2021 წ.)

საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის ოცდამეერთე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე:  
ამირან გიორგაძე